უფლებადამცველების მდგომარეობა საქართველოს რეგიონებში

ფოკუსი დედაქალაქს გარეთ: რეგიონებში მომუშავე უფლებადამცველებისთვის ხელმისაწვდომი შესაძლებლობები და მათ წინაშე არსებული გამოწვევები

თემატური ანგარიში

2023

დათქმა

წინამდებარე ანგარიში შეიქმნა პროექტის - **„საქართველოს რეგიონებში მომუშავე უფლებადამცველების გაძლიერება, მათი მიმდინარე გამოწვევების იდენტიფიცირების, აქტიური ჩართულობისა და ადვოკატირების გზით“** ფარგლებში, ორგანიზაცია „თბილისი პრაიდთან“ პარტნიორობით და ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. კვლევა ეყრდნობა მკვლევრის მიერ ჩატარებული ინტერვიუების, ფოკუს ჯგუფების თუ სამაგიდო კვლევაზე დაყრდნობით შეჯამებულ ინფორმაციას. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“, „თბილისი პრაიდის“ ან დონორის მოსაზრებებსა და პოზიციას.

კვლევის ავტორი: **თამარ ავალიანი**

ორგანიზაციების შესახებ

თბილისის სახლი არის წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე ხუთ არასამთავრობო ორგანიზაციას („ადამიანის უფლებათა ცენტრი“, „უფლებები საქართველო”, „მედიის ინსტიტუტი“, „საფარი“ და „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“). თანამშრომლობისა და ერთობლივი საქმიანობის გაძლიერებით, ადამიანის უფლებების უკეთ დაცვის და ადვოკატირების მიზნით, თბილისის სახლი წევრი ორგანიზაციების სახელით იცავს და აძლიერებს უფლებადამცველებს და მათ ორგანიზაციებს, ასევე ახორციელებს ადამიანის უფლებების შესახებ საგანმანათლებლო საქმიანობას.

თბილისი პრაიდი არის LGBTQ+ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაცია, რომელიც 2019 წლიდან მუშაობს ქვიარ თემებთან, მათ მშობლებთან და ფართო საზოგადოებასთან თანასწორობის მისაღწევად და საზოგადოებაში ქვიარ თემების მიმართ ხილვადობის გასაზრდელად.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: აკაკი გახოკიძის 11ა 0179, თბილისი, საქართველო

ელექტრონული ფოსტა: info@hrht.ge

ვებგვერდი: www.hrht.ge; http://humanrightshouse.org/Members/Georgia/index.html; www.defenders.ge

სარჩევი

I. მონაწილეობა 8

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის სტანდარტი 9

მონაწილეობა/წარმომადგენლობა თვითმმართველ ორგანოებში 9

II. უფლებადამცველების გაშუქება მედიაში 11

საერთაშორისო სტანდარტი 11

ადგილობრივი კონტექსტი 11

III. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 13

ადგილობრივი კონტექსტი 13

IV. უფლებადამცველთა ფიზიკური უსაფრთხოება 15

საერთაშორისო სტანდარტი 15

ძალადობა ლგბტქ+ უფლებადამცველებზე 15

V. უფლებადამცველთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა 17

ადგილობრივი კონტექსტი 17

არადომინანტი ჯგუფების უფლებადამცველებზე ზეწოლის ტენდენციები 17

ზეწოლა ფინანსური გამჭვირვალობის "ვოჩდოგ" უფლებადამცველებზე 18

ფსიქოლოგიური ზეწოლა და მუქარა ქალ უფლებადამცველებზე 19

VI. დეზინფორმაცია და პროპაგანდა 21

ადგილობრივი კონტექსტი 21

VII. უფლებადაცვითი საქმიანობის მდგრადობა 23

დონორებთან ურთიერთობა და პროექტების მდგრადობა 23

უფასო იურიდიული დახმარების სერვისის ხელმისაწვდომობა და მდგრადობა 24

VIII. სხვა გამოწვევები და საჭიროებები 26

ქსელური მუშაობა 26

სახალხო დამცველის ოფისთან და რეგიონულ წარმომადგენლობებთან კომუნიკაცია 26

საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობა 26

ინფრასტრუქტურული ბარიერები 26

კონფლიქტის რეგიონში უფლებადაცვითი საქმიანობის განხორციელების პრობლემები 27

ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა 27

შეჯამება და რეკომენდაციები 29

ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა 33

1. შესავალი

წინამდებარე თემატური კვლევის ჩატარების მთავარი მიზანი იყო თბილისს გარეთ, სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში მომუშავე უფლებადამცველების საქმიანობის შესწავლა და მათ წინაშე არსებული გამოწვევების და შესაძლებლობების გამოვლენა. თემატური ანგარიშის მიგნებები გამოკვეთს სხვადასხვა რეგიონში არსებულ ზოგად ტენდენციებს, რაც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა სამომავლო საქმიანობა თუ აქტივობები სწორად დაგეგმონ.

უფლებადმცველების და მათი ორგანიზაციების გაძლიერება თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის სტრატეგიული მიმართულებაა. ამ მიზნის მისაღწევად, ორგანიზაცია მუშაობს უფლებადამცველებთან, აკვირდება საქართველოში არსებულ სამოქალაქო სივრცეს და აწვდის მათ სხვადასხვა ტიპის სერვისებს - სთავაზობს უნარების გასაძლიერებელ და ფსიქო-სოციალური დახმარების შესაძლებლობებს.

ის ადამიანები, რომლებიც საქართველოს რეგიონებში იცავენ ადამიანის უფლებებებს, ხშირად საუბრობენ მათ წინაშე არსებულ სხვადასხვა გამოწვევებსა და საფრთხეებზე და აღნიშნავენ, რომ აღნიშნული სიტუაცია ნაკლებად არის ცნობილი სხვადასხვა დაინტერსეებული პირისთვის. გარდა ამისა, იმის გამო, რომ ისინი დედაქალაქიდან მოშორებით ცხოვრობენ, ხშირად ვერ ესწრებიან შეხვედრებს, არ აქვთ ინფორმაცია მიმდინარე შესაძლებლობებზე, მათ შორის საპროექტო შესაძლებლობებზე. აქედან გამომდინარე, წინამდებარე თემატური ანგარიში მნიშვნელოვანი ეტაპია იმისთვის, რომ გამოჩნდეს საქართველოს რეგიონებში მომუშავე უფლებადამცველების საქმიანობაში არსებული გამოწვევები და მომავალში მეტი ყურადღება დაეთმოს უფლებადაცვითი საქმიანობისთვის თანასწორი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას.

ფაქტებისა და გარემოებების შეჯამებისას, მკვლევარი ეყრდნობა კვლევის რესპონდენტების უკუკავშირს, ფოკუს ჯგუფებიდან მიღებულ ინფორმაციას და სამაგიდო მოკვლევას.

კვლევა განხორციელდა 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის მარტამდე პერიოდში. შესაბამისად, კვლევაში არ მოხვდა 2023 წლის მარტში საქართველოში განვითარებული მოვლენები, როცა საქართველოს პარლამენტმა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი - “უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” დაარეგისტრირა. მადისკრედიტირებელი კანონპროექტის ქვეშ მოჰყვა მედია და არასამთავრობო სექტორი - ყველა ორგანიზაცია, რომელიც უცხოური გრანტებით ფინანსდება. მსგავსი კანონი მოქმედებს რუსეთში. ამიტომ, სამოქალაქო საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა ამ კანონპროექტს “რუსული კანონი” უწოდა. “რუსული კანონის” ინიცირებამ უფლებადამცველებს დამატებითი საფრთხე შეუქმნა. 2023 წლის მარტის მოვლენებმა და შემდგომმა ვითარებამ კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ საქართველოს სამოქალაქო სექტორი ბევრი გამოწვევის წინაშე დგას და რეგიონებში მომუშავე უფლებადამცველები - ისინი, ვინც იცავენ სხვადასხვა თემისა თუ ჯგუფის ინტერესებს, მათ შორის არადომინანტი ჯგუფების უფლებებს, განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან. ამაზე თავად უფლებადამცველებიც საუბრობენ.[1]

[1]იხილეთ: https://defenders.ge/defender/64dcc52ad863e70d4b6a1f6c

2. კვლევის მთავარი მიგნებები

- უფლებადამცველები, ძირითადად, ფორმალურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ისე ცენტრალური ხელისუფლების დონეზე. როგორც წესი, მათ არ ეძლევათ შესაძლებლობა, ეფექტიანი ზეგავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და შედეგზე; თუ ეძლევათ, ეს ქმნის ჩართულობის იმიტაციას: იმის საჩვენებლად, რომ უფლებადამცველებს უსმენენ, მათ ხელისუფლების წარმომადგენლები ფორმალურად იწვევენ შეხვედრებზე, სინამდვილეში კი თავად, ერთპიროვნულად იღებენ გადაწყვეტილებებს.

- ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების შეხვედრებს სამოქალაქო სექტორთან აქვს ფორმალური და არათანმიმდევრული ხასიათი. შეხვედრებზე დასმული საკითხები თითქმის არასოდეს გადადის პოლიტიკურ დღის წესრიგში.

- კვლევის შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია: უფლებადამცველების ინიციატივებისა და პროექტების დადებით შედეგებს ადგილობრივი თვითმმართველობა თავის ინიციატივად ასაღებს, პათოსით - „ამის გაკეთებას ჩვენ ისედაც ვგეგმავდით“. ან, ზოგ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობა ცდილობს უფლებადამცველების მიერ გაწეული ძალისხმევა არ გამოაჩინოს.

- ადგილობრივი ხელისუფლება არ აღიქვამს სერიოზულად უფლებადამცველთა აქტივიზმს, არ ფიქრობს, რომ მასში არის რაიმე რეალური ძალა, არ იღებს მათ კრიტიკას.

- უფლებადამცველების საქმიანობა ძირითადად შუქდება რეგიონულ მედიებში; ეროვნულ მაუწყებლებთან მათი თანამშრომლობა სუსტი და არამდგრადია, მედიის მხრიდან ინტერესის ნაკლებობის გამო;

- უფლებადამცველებს არ აქვთ დროული და სრულყოფილი წვდომა საჯარო ინფორმაციაზე, რაც მათ საქმიანობას აფერხებს;

- უფლებადამცველების დიდი ნაწილი (განსაკუთრებით, მაღალმთიან რეგიონებში მომუშავე უფლებადამცველები) სათანადოდ ვერ სარგებლობს ინტერნეტით;

- უფლებადამცველები ხშირად განიცდიან ფსიქოლოგიურ ზეწოლას. მათ ხშირად ემუქრებიან ფიზიკური ანგარიშსწორებით. მუქარის მთავარი მიზანი უფლებადამცველების დაშინება და საქმიანობიდან მათი ჩამოშორებაა. ამ მხრივ, განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ უმცირესობების უფლებებზე მომუშავე უფლებადამცველები და ქალი უფლებადამცველები;

- უფლებადამცველები ხშირად არიან ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ულტრამემარჯვენე ძალების მხრიდან

დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მსხვერპლნი. უფლებადამცველებს შორის სუსტი და ფრაგმენტულია ცოდნა დეზინფორმაციასთან გამკლავების მეთოდების შესახებ;

- ფსიქოემოციურ კეთილდღეობასა და შესაბამის სერვისებზე ხელმისაწვდომობა უფლებადამცველებისთვის ფრაგმენტულია. სტრესის მართვისა და გადაწვის ტრეინინგებზე განგრძობადი ხელმისაწვდომობა მათ ნაკლებად აქვთ.

- დონორები არასაკმარისად უჭერენ მხარს რეგიონულ აქტივიზმს, განსაკუთრებით, ინდივიდუალურ უფლებადამცველებს, რომლებიც ორგანიზაციული ფორმის გარეშე საქმიანობენ.

- უფლებადამცველებს არ აქვთ საჭირო ცოდნა და უნარები დონორებთან ეფექტიანი თანამშრომლობისთვის, მათ შორის, კვალიფიციური საპროექტო განაცხადის დასაწერად.

- რეგიონული აქტივიზმის ორგანიზაციური და ფინანსური მდგრადობა სუსტია;

- უფლებადამცველთა დიდი ნაწილი ვერ წერს და საუბრობს გამართულად ინგლისურ ენაზე, რაც მათ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან ურთიერთობას ურთულებს;

- რეგიონულ აქტივიზმში ქსელური მუშაობა სუსტი, ფრაგმენტული და არამდგრადია;

- უფლებადამცველების თანამშრომლობა სახალხო დამცველის რეგიონულ ოფისთან ფრაგმენტულია;

- უფლებადამცველებს, როგორც წესი, არ აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება, რაც ენობრივი ბარიერითა და შესაბამისი ცოდნისა და უნარების ნაკლებობით არის გამოწვეული.

- ქალი უფლებადამცველები უფლებადაცვითი საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების პროცესში დამატებით ბარიერებს აწყდებიან რეგიონებში არსებული პატრიარქალური წარმოდგენების გამო.

3. „უფლებადამცველის“ ცნების მნიშვნელობა ამ კვლევის მიზნებისთვის

კვლევა ეყრდნობა ტერმინ - „უფლებადამცველის“ განმარტებას, რომელიც რამდენიმე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტით არის განსაზღვრული:

- „უფლებადამცველთა შესახებ“ გაერო-ს 1998 წლის დეკლარაციის პირველი მუხლის თანხმად, „უფლებადამცველი არის ადამიანი, რომელიც დამოუკიდებლად, ან სხვებთან ერთად მოქმედებს ადამიანის უფლებების დაცვის, რეალიზებისა და ხელშეწყობისთვის, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.“[2]

- გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისი უფლებადამცველად მიიჩნევს პირებს, რომელთა ყოველდღიური საქმიანობა გულისხმობს ადამიანის უფლებათა დაცვას და ხელშეწყობას[3].

კვლევა ასევე იზიარებს ტერმინ - „უფლებადამცველის“ ცნების ეუთო/ოდირ-ის (OSCE/ODIHR) მიერ შემოთავაზებულ ფართო შინაარსს, რომლისთვისაც განმსაზღვრელი არ არის პროფესიული თუ სხვა ტიპის სტატუსი[4]. ტერმინ „უფლებადამცველის“ შინაარსის დასადგენად მთავარი არაა, მოქმედებს პირი დამოუკიდებლად, თუ რომელიმე მოძრაობის, საინიციატივო ჯგუფის თუ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის სახელით. ამასთანავე, უფლებადამცველი შეიძლება იყოს მოხალისე, ან შესაბამის ანაზღაურებას იღებდეს პროფესიული საქმიანობისთვის[5].

ტერმინი უფლებადამცველი 1998 წელს მიღებული დეკლარაციის შემდეგ აქტიურად გამოიყენება. მან ეტაპობრივად ჩაანაცვლა ისეთი ტერმინები, როგორიცაა: ადამიანის უფლებების „აქტივისტი“, „მონიტორი“ და სხვ.[6] საქართველოში ხშირად გამოყენებულია ტერმინი „სამოქალაქო აქტივისტი“. კვლევის მიზნებისთვის ეს ტერმინი „უფლებადამცველის“ სინონიმური შინაარსის ცნებად მოიაზრება და შესაბამისად, მხოლოდ ეს უკანასკნელი გამოიყენება.

4. უფლებადამცველების მდგომარეობა საქართველოში

უფლებადამცველთა საქმიანობა უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის დამკვიდრების მიმართულებით.[7]

უფლებადამცველები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვისა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის საქმეში[8]. არაერთი საერთაშორისო რეზოლუცია თუ დოკუმენტი მიუთითებს, რომ სახელმწიფოს

---

[2] „უფლებადამცველთა შესახებ“ გაერო-ს 1998 წლის დეკლარაციის პირველი მუხლი; https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Issues/Defenders/Declaration/declaration.pdf

[3] OHCHR, საინფორმაციო ბიულეტენი №29 უფლებადამცველების თაობაზე, აპრილი 2004, 6.

[4] OSCE/ODIHR, სახელმძღვანელო პრინციპები უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 2014, 24.

[5] იქვე, 25.

[6] About human rights defenders / Special Rapporteur on human rights defenders https://www.ohchr.org/en/special-procedures/sr-human-rights-defenders/about-human-rights-defenders

[7] Information on human rights defenders: UN Special Rapporteur on human rights defenders, https://www.ohchr.org/en/special-procedures/sr-human-rights-defenders/about-human-rights-defenders; Commissioner for Human Rights, Council of Europe, https://www.coe.int/en/web/commissioner/human-rights-defenders; OSCE, https://www.osce.org/odihr/human-rights-defenders .

[8] იქვე.

ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, შექმნას უფლებადამცველების საქმიანობისათვის ხელშემწყობი გარემო, რათა მათ სრულფასოვნად და დაუბრკოლებლად შეძლონ უფლებადაცვითი საქმიანობა[9].

საქართველოში უკანასკნელ პერიოდში დემოკრატიული უკუსვლა შეინიშნება[10], რაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან დემოკრატიის შეფასების ინდექსით დასტურდება.[11] უფლებადამცველები ხშირად ხდებიან ძალადობის, ფსიქოლოგიური ზეწოლისა და მადისკრედიტირებელი ბრალდებების მხვერპლნი, მათ შორის სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან[12].[13]

ულტრამემარჯვენე, ჰომოფობიურად განწყობილი ჯგუფები განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევიან არადომინანტი ჯგუფების უფლებების დამცველი უფლებადამცველების, მათ შორის ლგბტქ+ ჯგუფების საკითხებზე მომუშავე უფლებადამცველების მიმართ[14]. საქმიანობის დისკრედიტაცია, ფიზიკური თავდასხმები და თავდასხმები სოციალურ ქსელებში - ეს არასრული ჩამონათვალია იმ რისკებისა, რომლის წინაშეც უფლებადამცველები დგებიან.[15]

5. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია განისაზღვრა კვლევის მიზნიდან გამომდინარე. თვისებრივი კვლევის ჩასატარებლად შევისწავლეთ და გავაანალიზეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა თუ სოფლებში მომუშავე უფლებადამცველების საჭიროებები, მათ წინაშე არსებული პრობლემები, რისკები და არსებული შესაძლებლობები.

კვლევის მიზნებისთვის, მკვლევარმა გააკეთა **მცირე სამაგიდე კვლევა,** რომელიც გამოყენებულია თვისებრივ კვლევაში. სამაგიდე კვლევის მთავარი მიზანი იყო უფლებადამცველთა უფლებრივი მდგომარეობისა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი.

კვლევის ფარგლებში ასევე ჩატარდა **4 ფოკუს-ჯგუფი**[16] რეგიონებში მომუშავე უფლებადამცველებთან. მკვლევარმა გამოიყენა მიღებული მონაცემების დამუშავების თვისებრივი შინაარსის ანალიზის მეთოდი, რომელიც ფოკუს-ჯგუფების დისკუსიას დაეფუძნა.

ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა უფლებადამცველებთან, რომლებიც შემდეგ რეგიონებში მუშაობენ:

---

[9] Protecting human rights defenders: resolution / adopted by the Human Rights Council, 2013, https://www.refworld.org/docid/53bfa8564.html

[10] იხილეთ: https://www.hrw.org/world-report/2022/country-chapters/georgia

[11] იხილეთ: https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2022

[12] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, 1995-1996.

[13] უფლებადამცველთა მდგომარეობა: დაბრკოლებები და გამოწვევები https://shorturl.at/gjMZ7

[14] იქვე, 1995.

[15] Protecting Defenders in 2021: How to Improve Infrastructure to Help Human Rights Defenders at Risk: https://humanrightshouse.org/wp-content/uploads/2021/09/2021-Protecting-Defenders.pdf

[16] თითოეული ფოკუს-ჯგუფი შედგებოდა 5-10 მონაწილისგან.

- აჭარა;
- ქვემო ქართლი;
- იმერეთი,
- გურია,
- რაჭა
- შიდა ქართლი

კვლევის ფარგლებში მონაცემების შეგროვების მიზნით, ასევე ჩატარდა **სიღრმისეული ინტერვიუები.**

18 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა უფლებადამცველებთან შემდეგი გეოგრაფიული განაწილებით:

- აჭარა - 8 სიღრმისეული ინტერვიუ;
- ქვემო ქართლი - 6 სიღრმისეული ინტერვიუ;
- სამეგრელო - 1 სიღრმისეული ინტერვიუ;
- რაჭა - 1 სიღრმისეული ინტერვიუ;
- კახეთი - 1 სიღრმისეული ინტერვიუ;
- სვანეთი - 1 სიღრმისეული ინტერვიუ.

კვლევა დაყოფილია 8 სტანდარტად, რომლებიც უფლებადამცველების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საჭირო საკითხებს აერთიანებს. ეს სტანდარტებია:

1. მონაწილეობა
2. უფლებადამცველთა გაშუქება მედიაში
3. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
4. უფლებადამცველთა ფიზიკური უსაფრთხოება
    - ძალადობა ლგბტქ+ უფლებადამცველებზე
5. უფლებადამცველთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა
    - ქალი უფლებადამცველების შევიწროება
    - სახელმწიფოს ფინანსურ გამჭვირვალობაზე მომუშავე უფლებადამცელების შევიწროება
6. დეზინფორმაცია და პროპაგანდა
7. უფლებადაცვითი საქმიანობის მდგრადობა
8. სხვა გამოწვევები

I. მონაწილეობა

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის სტანდარტი

სამოქალაქო სექტორის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა არის უფლება, რომელიც უფლებადამცველებს აძლევს შესაძლებლობას, რომ ზეგავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე [17] . საზოგადოებრივი მონაწილეობით უფლებადამცველს ეძლევა შესაძლებლობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობით, შეცვალოს არახელსაყრელი პოლიტიკური გადაწყვეტილებები და შეძლოს სასარგებლო ცვლილებების ადვოკატირება ან/და ლობირება ხელისუფლების ყველა დონეზე.

წინამდებარე კვლევის რესპონდენტების უმრავლესობა აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში: ამზადებს პეტიციას, საბიუჯეტო ინიციატივას და სხვადასხვა საჯარო სტრუქტურებს განცხადებით მიმართავს. გარდა ამისა, უფლებადამცველებს პირდაპირი კომუნიკაცია აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და თანამდებობის პირებთან.

მონაწილეობა/წარმომადგენლობა თვითმმართველ ორგანოებში

რესპონდენტების უმრავლესობა მიუთითებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავს არიდებენ კრიტიკულად განწყობილი უფლებადამცველების ჩართვას მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში, ან/და გენდერული თანასწორობის საბჭოში. ეს მექანიზმები გაწერილია საქართველოს ორგანულ კანონში - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს. [18] რამდენიმე შემთხვევაში, გამოკითხული უფლებადამცველი მონაწილეობდა სამოქალაქო საბჭოს მუშაობაში, თუმცა თავად საბჭოს გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე იყო მინიმალური. როგორც უფლებადამცველები ამბობენ, საბჭოების საქმიანობა ხშირად ფორმალური ხასიათისაა და შედეგზე არ არის ორიენტირებული. გამოკითხულ რესპონდენტთაგან არცერთს არ ჰქონდა ინფორმაცია, რა პროცედურით და წესით ხდება საბჭოების საქმიანობაში მონაწილეობის მიღება.

რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ არასოდეს ყოფილა ჩართული თვითმმართველობის ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში. მათთვის უცნობია, რა წესით განსაზღვრავენ თვითმმართველობის საბიუჯეტო პრიორიტეტებს. როგორც წესი, ბიუჯეტში პრიორიტეტულად არ იდენტიფიცირდება უფლებადამცველთა მიერ გამოკვეთილი საჭიროებები და ინიცირებული საკითხები.

ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები

გამოკითხული უფლებადამცველების უმრავლესობა ამბობს, რომ მათი კავშირი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან (მაგალითად, პარლამენტთან, ან რომელიმე სამინისტროსთან) სუსტია. თუმცა, რამდენიმე უფლებადამცველმა აღნიშნა, რომ მათ მიუმართავთ პარლამენტისთვის (მაგალითად, საკანონმდებლო წინადადებით) ან მთავრობისთვის. გარდა ამისა, აჭარაში მომუშავე

---

[17] Verba, S., Kay Lehman Schlozman, K.L and Brady, H., Voice and Equality, Civic Voluntarism in American Politics, Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, 1995.

[18] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=72

უფლებადამცველები იყენებენ აჭარის უმაღლეს საბჭოსთან ურთიერთობის სხვადასხვა სამოქალაქო ფორმას: მიმართვების, პეტიციებისა და წინადადებების სახით. როგორც გამოკითხულთა უკუკავშირის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, ქვემო ქართლში და აჭარაში მომუშავე უფლებადამცველები, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფების უფლებებს წარმოადგენენ, უფრო ხშირად იყენებენ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ადვოკატირების ფორმებს, ვიდრე სხვა რეგიონებში (რაჭა, გურია, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, შიდა ქართლი, კახეთი) გამოკითხული უფლებადამცველები.

II. უფლებადამცველების გაშუქება მედიაში

საერთაშორისო სტანდარტი

მედიაზე ხელმისაწვდომობას უფლებრივი თვალსაზრისით ორი განზომილება გააჩნია. იგი წარმოადგენს როგორც ავტონომიურ უფლებას, ისე სხვა უფლებების რეალიზაციის მნიშვნელოვან მექანიზმს.

უფლებადამცველების უფლებების დაცვის უზრუნველყოფისთვის შემუშავებული არაერთი პრინციპის, მათ შორის OSCE/ODIHR-ის სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით [19], უფლებადამცველებისთვის მედია წარმოადგენს მათი საქმიანობის ხილვადობისა და საჯარო დებატებში მონაწილეობის ინსტრუმენტს. შესაბამისად, მედიამ ხელი უნდა შეუწყოს უფლებადამცველების მონაწილეობას საჯარო დებატებში, რათა დაეხმაროს ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესებასა და ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული ახალი გამოწვევების დაძლევაში. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია სახელმწიფოებმა მიიღონ ზომები ძლიერი და პლურალისტური მედიის შესაქმნელად და მედიაზე უფლებადამცველების წვდომის გასაუმჯობესებლად.

ადგილობრივი კონტექსტი

როგორც რესპონდენტი უფლებადამცველების უმრავლესობა აღნიშნავს, მედია ხშირად აშუქებს მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა რეგიონში მომუშავე უფლებადამცველებს, ძირითადად, მხოლოდ ადგილობრივ მედიასთან აქვთ კავშირი. ეროვნულ მაუწყებლობებში, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მუშაობენ, უფლებადამცველების მიერ ადგილობრივ დონეზე იდენტიფიცრებული პრობლემები იშვიათად შუქდება, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა საქმე მასშტაბურ პრობლემასთან გვაქვს[20]. როგორც რამდენიმე უფლებადამცველი აღნიშნავს, თუ არ იკვეთება პრობლემის „პოლიტიკური“ ხასიათი, ისე, ეროვნული მაუწყებლები რეგიონში მიმდინარე საკითხებს არ აშუქებენ. შესაბამისად, უფლებადამცველების თანამშრომლობა „ცენტრალურ“ მედიებთან არის რეაქციული და ფრაგმენტული. ,ყოფილა შემთხვევები, როდესაც უფლებადამცველებს დაურეკავთ მედიისთვის და აუხსნიათ არსებული პრობლემის შესახებ, თუმცა ამ დროს რეგიონული მედიიდან გამოხმაურება არის ხოლმე, მაგრამ ცენტრალურიდან - არა.

ზოგჯერ, როდესაც უფლებადამცველების და მათი კრიტიკული საქმიანობის/იდენტიფიცირებული პრობლემების გაშუქება ხდება პროსახელისუფლებო მედიების მიერ, თუმცა, იმგვარად, რომ პირიქით, მათ დისკრედიტაციას ახდენს. უფლებადამცველები აღნიშნავენ, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ხელისუფლებასთან დაკავშირებული მედია შერჩევით და მიკერძოებით აშუქებს ინფორმაციას, რაც მიზნად ისახავს კრიტიკულად განწყობილი უფლებადამცველების დისკრედიტაციას, და არა

---

[19] სახელმძღვანელო მითითებები უფლებადამცველთა უფლებების დაცვის შესახებ, OSCE/ODIHR 2014, 28.

[20]მაგალითად, მკვლელობა, გატაცება, ფემიციდი, ოჯახში ძალადობა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან მწვავე დაპირისიპირება, ალტ-ინფოს ოფისების გახსნა და მათთან დაპირისპირება და სხვა.

საზოგადოების ინფორმირებას. ინფორმაციით ამგვარი მანიპულირება ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც განსხვავებული ხმა მარგინალიზებულია.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი რეგიონებიდან გამონაკლისია რაჭა, სადაც არც ადგილობრივი ტელევიზია არსებობს და არც რადიო. შესაბამისად, იქ მომუშავე უფლებადამცველები ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებით აშუქებენ ამბებს, ხოლოეროვნული მაუწყებლობების მიერ პრობლემების/საკითხების გაშუქება ფრაგმენტული, რეაქციული და არათანმიმდევრულია.[21]

[21] შენიშვნა: კვლევა/ინტერვიუები ჩატარდა შოვის ტრაგედიამდე, თუმცა, უფლებადამცველების მანამდე დაფიქსირებული მოსაზრებები - ადგილობრივი პრობლემების გაშუქების მხოლოდ ფრაგმენტული/რეაქციული ხასიათი, კვლავ იკვეთება.

III. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ეუთო/ოდირ-ის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციების თანახმად, სახელმწიფოებმა „არ უნდა დააწესონ ზედმეტი შეზღუდვები ინფორმაციის გაცემაზე, რაც პრაქტიკაში ხელს უშლის უფლებადამცველებს საქმიანობაში, მათ შორის ბენეფიციარებისთვის მომსახურების გაწევაში.“ [22] სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულება, დაამტკიცოს და გამოიყენოს კანონმდებლობა ინფორმაციის თავისუფლებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ოფიციალურ დოკუმენტებზე ეფექტიან და თანაბარ წვდომას, მათ შორის უფლებადამცველების მხრიდან. [23] საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საქართველოს ავალდებულებს ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლიც [24], რომლის თანახმადაც, გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე[25].

ადგილობრივი კონტექსტი

გამოკითხულთა უკუკავშირის შედეგად იკვეთება ტენდენცია, რომ საჯარო უწყებები, ძირითადად, ნაწილობრივ, ან საერთოდ არ აწვდიან უფლებადამცველებს გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციას. როგორც უფლებადამცველები აღნიშნავენ, შეიძლება რომელიმე უწყებამ მიაწოდოს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, თუმცა, ეს ხდება უფლებადამცველთა მხრიდან არაერთგზის მოთხოვნის შემდეგ და ამ შემთხვევაშიც, ისინი ხშირად საჯარო ინფორმაციას იღებენ დაგვიანებით, საკანონმდებლო ვადის დარღვევით და რაც მთავარია, არასრულად. [26] უფლებადამცველები ხშირად საჯარო ინფორმაციას იმდენად გვიან იღებენ, რომ მისი გამოყენება უკვე აზრს კარგავს.

---

[22] სახელმძღვანელო მითითებები უფლებადამცველთა უფლებების დაცვის შესახებ, OSCE/ODIHR 2014, 26.

[23] იქვე, 26.

[24] 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 10.

[25] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით
https://idfi.ge/ge/case_law_of_the_european_court_of_human_rights_regarding_public_information

[26] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლი: „საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას; ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას; გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას. 2. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10 დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს “.

რამდენიმე უფლებადამცველი იხსენებს შემთხვევას, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობიდან საჯარო ინფორმაცია დროულად მიაწოდეს, მათი თქმით, ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც უფლებადამცველსა და თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელს შორის ნაცნობობა ან გარკვეული კავშირი არსებობს.

უფლებადამცველები აღნიშნავენ, რომ ძალიან შემაწუხებელია, როდესაც ოფიციალურად ინფორმაციის უშედეგოდ გამოთხოვნის შემდეგ მათ ეუბნებიან, დაგერეკა, გეკითხა - გეტყოდითო.

IV. უფლებადამცველთა ფიზიკური უსაფრთხოება

საერთაშორისო სტანდარტი

ეუთო/ოდირ-ის (OSCE/ODIHR) განმარტებით, ,,სახელმწიფო ინსტიტუტებმა და საჯარო მოსამსახურეებმა თავიდან უნდა აიცილონ უფლებადამცველების და მათი ოჯახების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი სახის დაშინება, მუქარა, ქონების დაზიანება ან განადგურება, ფიზიკური თავდასხმა, წამება ან სხვა არაადამიანური მოპყრობა, მათი სიკვდილი, იძულებითი გაუჩინარება ან სხვა ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლა“ [27] . წევრ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, უფლებადამცველები დაიცვან არასახელმწიფო აქტორებისგანაც და ვალდებულნი არიან, მიიღონ სათანადო ზომები ძალადობის თავიდან ასაცილებლად. სახელმწიფო უწყებებმა საჯაროდ უნდა დაგმონ ამგვარი ქმედებები და მოძალადეების მიმართ გამოიყენონ ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპი[28]. გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს განმარტებით, ,,სახელმწიფოებმა უნდა შექმნან უსაფრთხო და ხელშემწყობი გარემო (enabling environment), რომელშიც ადამიანის უფლებათა დამცველებს ექნებათ დაუცველობისა და დაბრკოლებებისგან თავისუფალი მოქმედების საშუალება.“[29]

ძალადობა ლგბტქ+ უფლებადამცველებზე

საქართველოში ლგბტქ+ უფლებადამცველად იდენტიფიცირება საფრთხის შემცველია - ლგბტქ+ თემი საქართველოში ყველაზე უფრო მოწყვლადია: თითქმის ყველა მის წარმომადგენელს ფიზიკური საფრთხე დამუქრებია ან ემუქრება. თემის წევრების უფლებადამცველების აზრით, ასეთი ძალადობრივი გარემოს გამო, მათ ნაკლებად აქვთ საშუალება, ღიად დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები. ლგბტქ+ თემის უფლებადამცველები საქართველოში მუდმივი მუქარის, თავდასხმებისა და შევიწროების მსხვერპლნი არიან, როგორც ეს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმაც აღნიშნა საქართველოში ვიზიტის შემდეგ. [30] უფლებადამცველები იღებენ სასიკვდილო მუქარებს, დამნაშავეები კი ხშირად დაუსჯელები რჩებიან.

ლგბტქ+ უფლებადამცველებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე, სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები ხელს უწყობენ ჰომოფობიური დეზინფორმაციისა და ნარატივების გავრცელებას, მაშინ, როდესაც თემს სიცოცხლის მოსპობის საფრთხე უდგას და ადამიანების იდენტობის და მათი თანასწორობის დაცვა ვერ ხერხდება. თემის ნდობა სახელმწიფო უწყებების მიმართ ძალიან დაბალია, ხოლო უფლებადამცველები არიან სამოქალაქო სექტორის იმედზე, რომელიც ხელისუფლებისგან თავად განიცდის დიდ წნეხს.

ლგბტქ+ უფლებადამცველები რეგიონებში მუდმივი ფსიქოლოგიური წნეხის და ფიზიკური ანგარიშსწორების საფრთხის ქვეშ არიან. საზოგადოების ყველა სეგმენტი ახდენს ლგბტქ+ თემის მიმართ

---

[27] სახელმძღვანელო მითითებები უფლებადამცველთა უფლებების დაცვის შესახებ, OSCE/ODIHR 2014, 18.

[28] იქვე, 18.

[29] Protecting human rights defenders: resolution / adopted by the Human Rights Council, 2013, https://www.refworld.org/docid/53bfa8564.html

[30] Commissioner for Human Rights for the Council of Europe, Dunja Mijatovic (2022). Report Following Her Visit to Georgia from 21 to 24 February 2022, p. 9. Available at: https://bit.ly/3fMrz0T

ზიზღისა და მიუღებლობის დემონსტრირებას, არ აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს ხელისუფლება, რომელიმე ულტრამემარჯვენე ძალა თუ რიგითი ადამიანი.

ჰომოფობიური განწყობები და აგრესია იმატებს, როდესაც უფლებადამცველი ლგბტქ+ თემთან მუშაობს და მათ უფლებებს იცავს. ამ დროს, უფლებადამცველი მარტო რჩება აგრესიული საზოგადოების პირისპირ.

ლგბტქ+ უფლებადამცველები აღნიშნავენ, რომ ისინი ფაქტობრივად, ყოველდღიურ რეჟიმში არიან ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ფიზიკური განადგურების მუქარის ქვეშ. უფლებადამცველები ყოველდღიურად განიცდიან წნეხს. მათ შეურაცხყოფას აყენებენ როგორც სოციალურ ქსელებში, ისე ფიზიკური შეხვედრებისას. სოციალური ქსელების საშუალებით ლგბტქ+ თემის ერთ-ერთ უფლებადამცველს ასე დაემუქრნენ: ,,მოგკლავ, სისხლის გუბეებს დავაყენებ". როგორც ერთ-ერთი უფლებადამცველი განმარტავს, ,,ადგილობრივ თვითმმართველობას თავისი სამთავრობო ტროლები და ბოტები ჰყავს", რომელთაც უფლებადამცველების წინააღმდეგ იყენებს.

ყველაზე დიდ ძალადობად ლგბტქ+ უფლებადამცველები საზოგადოების მხრიდან თემის უგულვებელყოფას მიიჩნევენ. ასეთი დამოკიდებულება თავად ამ თემის უფლებადამცველებსაც დამატებით წნეხს უქმნის უფლებადაცვითი საქმიანობის განხორციელებისას, მიზნობრივი სერვისების მიწოდებისას და ა.შ.

V. უფლებადამცველთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა

ადგილობრივი კონტექსტი

გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათზე მომხდარა ფსიქოლოგიური ზეწოლა და ყოფილა შემთხვევები, როცა ფიზიკური ანგარიშსწორებით დამუქრებიან. უფლებადამცველები ფიქრობენ, რომ მსგავსი თავდასხმების მთავარი მიზანი არის უფლებადაცვითი საქმიანობიდან მათი ჩამოცილება და მათი დაშინება და გაჩუმება.

რაც შეეხება ზეწოლის განმახორციელებელ ჯგუფებს, უფლებადამცველები ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფენ:

1) ულტრამემარჯვენე, ჰომოფობიური ჯგუფები, რომლებიც წახალისებული არიან ხელისუფლების მხრიდან, რადგან არაეფექტიანად ხდება ამ ჯგუფების მხრიდან ჩადენილი დანაშაულების გამოძიება. მათი მხრიდან გამოვლენილი ზეწოლა გამოიხატება შეურაცხყოფით, გინებით, ფიზიკური განადგურებისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების მუქარით. მსგავსი მუქარები, ძირითადად, ტელევიზიით და სოციალური ქსელების მეშვეობით ჟღერდება.

2) რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც წახალისებული არიან ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. აღნიშნული ჯგუფი აქტიურად ცდილობს უფლებადამცველების დისკრედიტაციას, ახდენს მათი აქტივიზმის მარგინალიზებას, აწებებს უფლებადამცველებს ,,გრანტიჭამიების“ იარლიყს, აცხადებს ,ქვეყნის მტრად“ და სხვა.

არადომინანტი ჯგუფების უფლებადამცველებზე ზეწოლის ტენდენციები

როგორც კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფის დისკუსიები ცხადყოფს, არადომინანტი ჯგუფების უფლებებზე მომუშავე უფლებადამცელები, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან და ყველაზე ხშირად განიცდიან ფსიქოლოგიურ ზეწოლას ან იღებენ სხვადასხვა ტიპის მუქარას.

- ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების უფლებებზე მომუშავე უფლებადამცველები იხსენებენ არაერთ შემთხვევას, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და მათთან დაახლოებული პირები, უფლებადამცველთა ოჯახების ახლობლების მეშვეობით ,,ურჩევენ“ უფლებადამცველების მშობლებს, ჩამოაშორონ შვილები ,,მავნე“ და ოჯახისა და სახელმწიფოს ,,შემარცხვენელ“ საქმიანობას. დაინტერესებული პირები უფლებადამცველების ოჯახებში მიდიან უფლებადამცველთან და მისი ოჯახის წევრებთან ,,გასაუბრების“ მიზნით. არის შემთხვევები, როდესაც ამ ტიპის ზეწოლის გამო, კონფლიქტი იქმნება უფლებადამცველსა და მის მშობლებს/ოჯახის წევრებს შორის. შეშინებული ახლობლები სთხოვენ უფლებადამცველებს, შეწყვიტონ უფლებადაცვითი საქმიანობა, რათა პრობლემები არ შეექმნათ მათ, ან ოჯახის სხვა წევრებს.
- მსგავსი ზეწოლის შემთხვევები ხშირია ახალგაზრდა, უფლებადაცვით საქმიანობაში ახლად ჩათულ უფლებადამცველებთან. კვლევაში მონაწილე ის უფლებადამცველები, რომლებსაც შედარებით მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, აღნიშნავენ, რომ მათაც გაიარეს ფსიქოლოგიური ზეწოლის მსგავსი გზა.

- რამდენიმე უფლებადამცველი აღნიშნავს, რომ მათ პირდაპირ დაურეკეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და „პასუხი მოსთხოვეს“ აქტივისტური საქმიანობის გამო. ხელისუფლების წარმომადგენლები ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ უფლებადამცველებმა ესა თუ ის ღონისძიება მათთან შეუთანხმებლად ჩაატარეს. მსგავსი საუბრები ხშირად სცდება ჯანსაღი კრიტიკის, ან თანამშრომლობის ფორმას და შეიცავს ისეთ ფრაზებს, როგორიცაა: „როგორ გაბედეთ, ჩვენთან შეუთანხმლებად .... “ და მისთ.

- უფლებადამცველები აცხადებენ, რომ მსგავსი მუქარა და ზეწოლა მაშინ ხდება, როცა ისინი საპროტესტო აქტივობას, პეტიციისთვის ხელმოწერების შეგროვებას ან რაიმე საკითხის აქტუალიზაციას იწყებენ. მათი დაკვირვებით, ასეთ დროს, როგორც წესი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იწყებს უფლებადამცველების თვალთვალს და ადგილობრივი ხელისუფლების გამოყენებით, ცდლობს სხვადასხვა საპროტესტო აქტივობის „ჩახშობას“.
- ცალკე ჯგუფად შეიძლება გამოიყოს ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტიტუციის - საქართველოს საპატრიარქოს ადგილობრივი ეპარქიები, რომლებიც ძირითადად ულტრამემარჯვენე/ჰომოფობიურ ჯგუფებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, ასევე თავს ესხმიან ადგილობრივ უფლებადამცველებს, რადგან უფლებადამცველები კითხვებს სვამენ ეპარქიების საქმიანობის ფინანსურ გამჭვირვალობაზე. მუქარა და ზეწოლა ხორციელდება როგორც პირადად (ფიზიკური შეხვედრის დროს), ისე სოციალური ქსელების საშუალებით. გარდა ამისა, ადგილობრივი ეპარქიები აქტიურად აზიარებენ ინფორმაციას, რომ უფლებადამცველები „ეკლესიას და ჯვარს ეწინააღმდეგებიან“ და „მართლმადიდებლობას ებრძვიან“.
- ერთ-ერთი საჯაროდ ცნობილი საქმე, როდესაც უფლებადამცველს ჰომოფობიურად განწყობილი ულტრამემარჯვენე ჯგუფები დაუპირიპირდნენ, არის სამირა ბაირამოვას საქმე.[31] სამირას წინააღმდეგ ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური განადგურების მუქარა სოციალურ ქსელში კიდევ უფრო ინტენსიური გახდა მას შემდეგ, რაც მან მარნეულში „კონსერვატიული მოძრაობის“ ოფისის დახურვა მოითხოვა, შემდეგ კი ოფისის ფანჯრები უკრაინის დროშის ფერებში შეღება. სამირა ბაირამოვას მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკური განადგურების მუქარას.

მსგავსი გამოწვევებისთვის სათანადოდ მოსამზადებლად, უფლებადამცველებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ სერვისებზე, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, გაუმკლავდნენ სხვადასხვა მხრიდან მომდინარე სტრესებს და დაძაბულ გარემოში მუშაობა შეძლონ[32].

კვლევაში მონაწილე აქტივისტების აბსოლუტური უმრავლესობა გადაწვისა და სტრესის მართვის ტრეინინგების განგრძობად საჭიროებაზე საუბრობს. უფლებადამცველები ჩივიან ხშირი ფსიქოემოციური გადაღლის თაობაზე, რაც მათ შრომისუნარიანობას და პროდუქტიულობას ამცირებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც მძიმე სტრესის გამო, უფლებადამცველები უფლებადაცვით საქმიანობას თავს ანებებენ.

ზეწოლა ფინანსური გამჭვირვალობის "ვოჩდოგ" უფლებადამცველებზე

[31] https://shorturl.at/drtD2

[32] სახელმძღვანელო მითითებები უფლებადამცველთა უფლებების დაცვის შესახებ, OSCE/ODIHR 2014, 78.

ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიან უფლებადამცველები, რომლებიც სახელმწიფოს ფინანსური გამჭვირვალობის ე.წ. „ვოჩდოგები“ არიან - ე.ი. მონიტორინგს უწევენ საჯარო სტრუქტურების მიერ საბიუჯეტო ხარჯვას და მაღალჩინოსნების საბიუჯეტო ინტერესებს ააშკარავებენ. რამდენიმე უფლებადამცველმა აღნიშნა, რომ იყო შემთხვევები, როცა იარაღითაც კი დახვდნენ, ირიბ მუქარაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მაგალითად, ირმა გორდელაძე, რომელიც გარემოსდაცვით საკითხებზე მუშაობს გურიაში, აღნიშნავს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები და ბიზნეს ინტერესების მქონე პირები მას ხშირად უვრცელებდნენ დეზინფორმაციას, რომ თითქოს, მას არ უნდა „ქვეყნის ეკონომიკური მშენებლობა და წინსვლა“. ამ დეზინფორმაციისა და ბრალდებების მიზანი უფლებადამცველის საქმიანობის შეჩერება და მისი მარგინალიზება იყო. ირმა გორდელაძე, მისი უფლებადაცვითი საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად გამხდარა ხელისუფლებისა თუ ბიზნეს-ინტერესების მქონე პირებისგან ფსიქოლოგიური ზეწოლისა და მუქარის მსხვერპლი.

უფლებადამცველები არაპირდაპირი სახის მუქარაზე და ინტერესჯგუფების მხრიდან აქტივისტებში შიშის დანერგვის ფაქტებზეც საუბრობენ. მაგალითად, უფლებადამცველი შქმერიდან, რომელიც მანგანუმის მოპოვების საქმეებზე მუშაობს, ამბობს, რომ არაერთხელ იყო ინტერესჯგუფების მხრიდან არაპირდაპირი მუქარის მსხვერპლი.

ფსიქოლოგიური ზეწოლა და მუქარა ქალ უფლებადამცველებზე

ქალ უფლებადამცველების საქმიანობაზე გენდერ-სპეციფიური ხელშემშლელი ფაქტორები მოქმედებს, რაც ქვეყანაში სტრუქტურული გენდერული უთანასწორობით და ქალის მამაკაცისადმი ჯერ კიდევ დაქვემდებარებული როლით აიხსნება. ძალაუფლების არათანაბარი განაწილება, სტერეოტიპული აზროვნება და მიკერძოება, ქალს მეტად მოწყვლადს ხდის გარე გამოწვევების მიმართ. ქართულ სტერეოტიპულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში, მიიჩნევა, რომ ქალის მთავარი მოვალეობაა სახლის „შიდა საქმე“, ბავშვებისა და მეუღლის მოვლა, ოჯახზე ზრუნვა. აქტივიზმი არ არის „ქალის საქმე“ და რომ ზედმეტი აქტიურობა ქალს „ქალურობას აკარგვინებს“.

კვლევამ აჩვენა, რომ საშინაო საქმეებით გადატვირთული ქალები, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, ვეღარ იცლიან უფლებადაცვითი საქმიანობისთვის. ქალებს უჭირთ აქტივისტური საქმიანობის შეთავსება საოჯახო საქმესთან. რეგიონში ქალ უფლებადამცველთა წინაშე ბევრი პრობლემა და დამაბრკოლებელი ფაქტორი იჩენს ხოლმე თავს: სახლის საქმე, საბავშვო ბაღების არარსებობა, ბავშვზე ზრუნვა, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა და სხვა. ქალის ახლობლებსა და ოჯახის წევრებში პატრიარქალური მიდგომა მძლავრობს, რომლის მსხვერპლიც ხდება ქალი და განიცდის პირდაპირ თუ არაპირდაპირ შევიწროებას ნათესავების, მამის, ძმების ან მეუღლის მხრიდან. დამკვიდრებული ნარატივი, რომ „ქალი უნდა დარჩეს სახლში“ და მას „არ სცალია საზოგადოებრივი აქტივობისთვის“, პირდაპირი გამოწვევაა უფლებადაცვითი საქმიანობისთვის, რაც ხშირად ქალის ფიზიკურ უსაფრთხოებასაც უქმნის საშიშროებას.

გამოკითხულთა პასუხების მიხედვით ნათელია, რომ ქალი უფლებადამცველები მეტად მოწყვლადები არიან საფრთხეების მიმართ და კოლეგა მამაკაცებისგან განსხვავებით, დამატებით კიდევ გენდერული დისკრიმინაციით მოტივირებულ ზეწოლას განიცდიან. როგორც უფლებადამცველები აღნიშნავენ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ქალი უფლებადამცველების მიმართ იყენებენ ისეთ დისკრიმინაციულ და სტერეოტიპულ გამონათქვამებს, როგორებიცაა: „აქტივიზმი არ არის ქალის

საქმე“, „ქალების წასვლა აქტივიზმში ოჯახს არცხვენს“, „რატომ უნდა იყოს პატიოსანი ქალი უფლებადამცველი?“ შესაბამისად, ქალი უფლებადამცველების მიმართ გარემო მეტად საფრთხის შემცველია, ადგილობრივი ხელისუფლება კი საზოგადოების ჩართულობით, ქალი უფლებადამცველების მორალურ და მენტალურ დისკრედიტაციას ახდენს. გარდა ამისა, სხვადასხვა მაღალმთიან რეგიონში, ადგილობრივი ადათ-წესების გამო, ქალი საერთოდ არ ჩანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათ უმრავლესობას არსებულ პრობლემებსა და ქალთა მიმართ ძალადობაზე თავისუფლად საუბარი არ შეუძლია.

VI. დეზინფორმაცია და პროპაგანდა

ადგილობრივი კონტექსტი

გამოკითხული უფლებადამცველების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არის შემთხვევები, როცა მათი მისამართით მიზანმიმართულად ვრცელდება ცრუ/ყალბი ინფორმაცია, განსაკუთრებით ხშირად სოციალურ ქსელებში. მსგავსი დეზინფორმაციის მიზანი, როგორც წესი, უფლებადაცვითი საქმიანობის დისკრედიტაციაა. დეზინფორმაცია ვრცელდება როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, ისე ულტრამემარჯვენე/ჰომოფობიურად განწყობილი ჯგუფების მხრიდან. როგორც უფლებადამცველები აღნიშნავენ, გარდა იმისა, რომ მსგავსი თავდასხმები მათი საქმიანობის დისკრედიტაციას ახდენს საზოგადოებაში, ამგვარ ცრუ ამბებთან გამკლავება თავად უფლებადამცველებისთვისაც ძალიან სტრესულია, რაც ხშირად იწვევს მათ დემოტივაციას და ფსიქო-სოციალურ პრობლემებს.

დისკრედიტაციისა და დეზინფორმაციული პროპაგანდის მაგალითებს წარმოადგენს უფლებადამცველების პოლიტიკურ პარტიებად შერაცხვა, ასევე მათი „უცხოეთის აგენტებად“ მოხსენიება.

- ზოგი არადომინანტი ჯგუფების უფლებადამცველებისთვის ადგილობრივი ხელისუფლება დამაკნინებელი მიზნით იყენებს ტერმინს - „ვაჰაბიტები“ და მათ „ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში“ ადანაშაულებს. აჭარაში მომუშავე უფლებადამცველები აღნიშნავენ, რომ მათთვის ხშირად დაუბრალებიათ აჭარაში თურქული გავლენისთვის ხელშეწყობა.

- ხშირია უფლებადამცველების დისკრედიტაცია იმ საფუძვლით, რომ ისინი „ფულს ჭამენ“.

დეზინფორმაციის გავრცელებისთვის აქტიურად ხდება სოციალური ქსელების გამოყენება. მაგალითად, რამდენიმე უფლებადამცველი აღნიშნავს, რომ უნახავთ სოციალურ ქსელებში შექმნილი ყალბი პროფილი, რომელიც ჰომოფობიურ ნარატივს აზიარებს, კომენტარებში კი ტროლ-ბოტების მიერ სიძულვილის ენის შემცველი, შეურაცხმყოფელი ფრაზები იწერება და ვრცელდება.

უფლებადამცველების წინააღმდეგ ტროლ-ბოტების მუშაობის მაგალითს წარმოადგენს კომპანია „Meta-ს" მიერ „კოორდინირებული არაავთენტური ქცევის“ გამო გამოვლენილი და დაბლოკილი ანგარიშები, რომლებიც დაკავშირებული იყო საქართველოს მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტთან. კომპანიის ინფორმაციით, საქართველოში შექმნილი ქსელი იყენებდა სხვადასხვა პლატფორმებს, მათ შორის Facebook-ს, Instagram-სა და TikTok-ს, იქმნებოდა ე.წ. fake account-ები ჯგუფებისა და გვერდების სამართავად, რათა მათ შემდეგ პროსახელისუფლებო კონტენტი გაეძლიერებინათ, მათ შორის თავს დასხმოდნენ კრიტიკულ უფლებადამცველებს და მათი დისკრედიტაცია მოეხდინათ.

უფლებადამცველებში დეზინფორმაციის იდენტიფიცრების და მასთან გამკლავების გამოცდილების ცოდნა არაერთგვაროვანია. ზოგიერთ უფლებადამცველს აქვს ცოდნა დეზინფორმაციის

იდენტიფიცირების მექანიზმების შესახებ, გავლილი აქვს შესაბამისი სწავლება, ზოგიერთ აქტივისტს კი მეტი ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება სჭირდება.

უფლებადამცველები, რომლებმაც დეზინფორმაციასთან გამკლავება იციან, ყალბ ინფორმაციას ალტერნატიულ ნარატივს უპირისპირებენ. ისინი სოლიდარობის პრაქტიკის დამკვიდრებასაც ცდილობენ, რაც საზოგადოებებს შორის შემწყნარებლობის გაღვივებას უწყობს ხელს.

ზოგიერთი უფლებადამცველის სტრატეგიაა, რომ არ პასუხობს ყალბი ინფორმაციის გამავრცელებლებს, თავის საქმიანობას აგრძელებს და მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაციის გზით დადებითი შედეგის მიღებას ელის.

უფლებადამცველთა ერთი ნაწილი ცდილობს, დეზინფორმაციას არგუმენტირებული, ფაქტებზე დამყარებული ინფორმაციით უპასუხოს და ამგვარად გააქარწყლოს საზოგადოებაში გავრცელებული ტყუილი. ამ მიზნის მისაღწევად უფლებადამცველები პირად კონტაქტებსა და სოციალურ მედიას იყენებენ.

VII. უფლებადაცვითი საქმიანობის მდგრადობა

დონორებთან ურთიერთობა და პროექტების მდგრადობა

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დონორები არასაკმარისად უჭერენ მხარს რეგიონულ აქტივიზმს, განსაკუთრებით, ინდივიდუალურ უფლებადამცველებს, რომლებიც ორგანიზაციული ფორმის გარეშე მუშაობენ. გამოკითხული უფლებადამცველების თქმით, დონორების აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც წესი, არ გასცემს გრანტებს ინდივიდუალურ უფლებადამცველებზე, მოძრაობებსა და საინიციატივო ჯგუფებზე, თუ ისინი ორგანიზაციული (იურიდიული) ფორმით არ არიან დარეგისტრირებულები. აქტივიზმს ორგანიზაციული ფორმის გარეშე ფინანსური მხარდაჭერა არ აქვს და მთლიანად მოხალისეობრივ საფუძველზე დგას. ინდივიდუალური უფლებადამცველები უფლებადაცვით საქმიანობას, ძირითადად, საკუთარი ფინანსური სახსრებითა და ენთუზიაზმით წარმართავენ.

ფინანსური სტაბილურობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ახლადშექმნილი ორგანიზაციების წინაშე დგას. უფლებადამცველების აზრით, რეგიონებში აქტივიზმი დიდწილად მოხალისეობრივ ხასიათს ატარებს და მას მწვავე ფინანსურ პრობლემებთან გამკლავება უწევს.

უფლებადამცველების შეფასებით, შესაძლოა, დონორების დამოკიდებულება აჭარის რეგიონში მომუშავე უფლებადამცველების მიმართ სამი გარემოებით იყოს გამოწვეული. ერთი, რომ დონორები არ ინტერესდებიან იმ თემებით, რაზეც რეგიონული ორგანიზაციები მუშაობენ. მეორე: შესაძლებელია, ეს პრობლემა გამოწვეული იყოს იმით, რომ რეგიონული ორგანიზაციები აჭარის ცენტრიდან შორს მდებარეობს, რის გამოც აქტივისტური ორგანიზაციები ვერ ხვდებიან დონორთა სამიზნე არეალში. მესამე: დონორებს, შესაძლოა, არასწორი წარმოდგენა აქვთ რეგიონული აქტივიზმის როლისა და დანიშნულების შესახებ.

შედარებით ახალბედაა რეგიონული აქტივიზმი <u>გურიაში</u> და მასაც დონორები ნაკლებად უჭერენ მხარს უფლებადამცველების დაკვირვებით. გურიაში მოქმედი უფლებადამცველის თქმით, ის ძირითადად ენთუზიაზმით მუშაობს - 4 წელია, რაც გარემოსდაცვითი ორგანიზაცია აქვს და ამ ხნის განმავლობაში სულ 3 პროექტი ჰქონდა. მისი აქტივისტური საქმიანობა, ძირითადად, მოხალისეობით და სხვა დიდი ორგანიზაციების დახმარებით ვითარდება.

უფლებადამცველთა ნაწილს არ აქვს საჭირო ცოდნა და უნარები სრულყოფილი საპროექტო განაცხადის შესავსებად. საგრანტო პროექტზე მუშაობა, იდეისა და მისი განხორციელების გზების დამაჯერებლად და ნათლად ჩამოყალიბება სპეციფიურ ცოდნასა და უნარებს მოითხოვს. ზოგიერთი დონორი ინგლისურ ენაზე ითხოვს პროექტის დაწერას, რაც უფლებადამცველებს დამატებით ბარიერს უქმნის. უფლებადამცველები შესაბამისი უნარების არარსებობისა და ენობრივი ბარიერის გამო, ზოგჯერ დონორებთან საპროექტო განაცხადს საერთოდ არ გზავნიან.

არათანასწორი პარტნიორობის პრაქტიკაზე მიუთითებს რამდენიმე უფლებადამცველი. იგულისხება ისეთი ერთობლივი პროექტები, სადაც სავალდებულო პირობაა დედაქალაქს გარეთ მომუშავე უფლებადაცვითი ორგანიზაციის ჩართულობა - ხშირად დიდი, (უმეტესწილად თბილისში მომშავე არასამთავრობო ორგანიზაციები) ადგილობრივ ორგანიზაციებს და უფლებადამცველებს იყენებენ

გრანტის მისაღებად - სვამენ პროექტებში, თუმცა მათი მონაწილეობა არათანასწორადაა ასახული ანაზღაურებაში.

როგორც უფლებადამცველები ამბობენ, ბევრ საგრანტო კონკურსში არის მოთხოვნა, რომ პროექტში ჩართული იყოს რეგიონში მოქმედი უფლებადაცვითი ორგანიზაციაც. შესაბამისად, არსებობს გამოცდილება, როდესაც თბილისში დაფუძნებული, გამოცდილი ორგანიზაციები პროექტებში პარტნიორებად იწვევენ დედაქალაქს გარეთ მომუშავე უფლებადამცველებს. თუმცა, უფლებადამცველების შეფასებით, მსგავსი პარტნიორობა, შეუსაბამო ფინანსური ანაზღაურებითა და ნდობაზე და შინაარსზე ორიენტებული მიდგომის გარეშე, სიმბოლურ ხასიათს ატარებს.

დედაქალაქსა და რეგიონებს შორის განსხვავება თავს იჩენს ასევე შრომის ანაზღაურების მხრივაც. იმ შემთხვევაშიც, როცა რეგიონულ ორგანიზაციებს აფინანსებს დონორი, სრულ განაკვეთზე დასაქმებული უფლებადამცველების შრომის ანაზღაურება ძალიან დაბალია, თავად პროექტი კი მცირებიუჯეტიანი, რადგან მოკლე ვადაზეა გათვლილი.

გარდა ამისა, ხშირად დედაქალაქს გარეთ მომუშავე ჯგუფებს არ აქვთ სამუშაო სივრცე. ფინანსური არასტაბილურობის, ძირითადად, მოხალისეობრივი საქმიანობის გამო, უფლებადამცველები პარალელურად სხვა სამსახურშიც მუშაობენ ცხოვრების ხარჯების დასაფარად. არის შემთხვევები, როცა ამის გამო ისინი უფლებადაცვით საქმიანობას თავს ანებებენ.

უფასო იურიდიული დახმარების სერვისის ხელმისაწვდომობა და მდგრადობა

უფლებადაცვითი ორგანიზაციები [33] ძირითადად, ადვოკატირებას ეწევიან, რაც ადგილობრივ და ცენტრალურ უწყებებთან ურთიერთობის სხვადასხვა ფორმებში ვლინდება [34] . მათ არ აქვთ იურიდიული დახმარების მომსახურება: ისინი ბენეფიციარებს ვერ უწევენ იურიდიულ კონსულტაციას, ვერ ეხმარებიან საპროცესო დოკუმენტების [35] შედეგენაში, არ აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ სასამართლოში მათი წარმომადგენლები და ამის გამო იძულებულები არიან ისინი გადაამისამართონ სხვადასხვა ორგანიზაციებში. პრობლემა ერთის მხრივ პროფესიული გამოცდილების არარსებობით და მეორეს მხრივ ფინასნური რესურსის ნაკლებობით არის გამოწვეული. უფლებადამცველების დაფინანასება არასტაბილური და არამდგრადია. დაფინანსების შემთხვევაშიც, პროექტების დიდი ნაწილი მცირებიუჯეტიანი და მცირეხნიანია, რითაც ხანგრძლივი და უწყვეტი იურიდიული დახმარების სერვისის უზრუნველყოფა ვერ ხერხდება.

ამასთანავე, აქტივისტებს იურიდიული მომსახურების გაწევის სპეციფიური ცოდნა და გამოცდილება არ აქვთ. პროფესიით იურისტი უფლებადამცველები, ძირითადად, ახალბედა იურისტები ან/და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები არიან, რომელთაც ამ კუთხით მეტი ცოდნის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების შეძენა სჭირდებათ. სპეციფიური გამოცდილებისა და ცოდნის

---

[33]ეს არ ეხება იმ რეგიონულ ფილიალებს, რომლებიც ცენტრალური ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან რეგიონში. ისინი იურიდიულ დახმარებას ახორციელებენ. ამ ნაწილში იგულისხმებიან რეგიონული უფლებადამცველები და ადგილობრივი "გრასრუთ" ორგანიზაციები.

[34] პეტიცია, საკანონმდებლო წინადადება, ადმინისტრაციული ორგანოსთვის მიმართვა და სხვა.

[35] სარჩელის, საჩივრის მომზადება, სისხლის სამართლის საქმის წარმოება და სხვა.

ნაკლებობის გამო, ზოგჯერ აქტივისტებმა არ იციან, რა უფლებაა დარღვეული და როგორ უნდა დაიცვან ბენეფიციარი სასამართლოში ან/და ადმინისტრაციულ ორგანოში სარჩელის/საჩივრის შეტანის გზით.

VIII. სხვა გამოწვევები და საჭიროებები

ქსელური მუშაობა

უფლებადამცველთა ნაწილი პროფილის მიხედვით თანამშრომლობს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. თუმცა, უფლებადამცველთა განმარტებით, შიდა კავშირები კონკრეტულ რეგიონში მოქმედ ორგანიზაციებს შორის ძალიან სუსტია. ზოგიერთი უფლებადამცველის განმარტებით, ამის მიზეზი შეიძლება განსხვავებულ თემებზე მუშაობაც იყოს.

სახალხო დამცველის ოფისთან და რეგიონულ წარმომადგენლობებთან კომუნიკაცია

სახალხო დამცველის ოფისთან და მის რეგიონულ წარმომადგენლობებთან ადგილობრივი უფლებადამცველების კომუნიკაცია არ არის ინტენსიური, თუმცა, თანამშრომლობის შემთხვევები არსებობს. უფლებადამცველები განმარტავენ, რომ სახალხო დამცველს ისინი მთავარ მხარდამჭერად და პარტნიორად მოიაზრებენ. ზოგიერთი უფლებადამცველის თქმით, მათ არ დასჭირვებიათ სახალხო დამცველთან კომუნიკაცია და არ აქვთ შესაბამისი გამოცდილება.

ამასთანავე, უფლებადამცველების განმარტებით, მათი ცოდნა ომბუდსმენის მანდატზე და მის საზედამხედველო მექანიზმებზე სუსტია, რაც თანამშრომლობის შემდგომ შესაძლებლობას ამცირებს.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობა

უფლებადამცველებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან უშუალო თანამშრომლობის ნაკლები გამოცდილება აქვთ, რაც, შესაძლოა, ენობრივი ბარიერისა და შიდა რესურის ნაკლებობით იყოს გამოწვეული. ამასთანავე, ზოგიერთი უფლებადამცველის განმარტებით, ნაკლებია ცოდნა ასეთი ორგანიზაციების, მათი პოლიტიკისა და საქმიანობის თაობაზე.

ინფრასტრუქტურული ბარიერები

მაღალმთიან რეგიონებში მომუშავე უფლებადამცველების საქმიანობა რთულდება არამარტო ფინანასური რესურსების სიმცირის, არამედ მძიმე კლიმატური პირობების, რთული რელიეფისა და გაუმართავი გზების გამო. მაგალითად, მაღალმთიან აჭარაში მომუშავე უფლებადამცველები დეკემბერში, იანვარსა და თებერვალში ვერ მუშაობენ, რადგან ამ პერიოდში დიდთოვლობის გამო ხალხთან მისვლა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ქვემო ქართლში ცენტრალური გზები ყველგან მოწესრიგებულია და უფლებადამცველებსაც ამ მხრივ ნაკლები ინფრასტრუქტურული პრობლემები ხვდებათ. სოფლებში შემოსასვლელებამდე ასფალტის საფარი ყველგან დაგებულია, მაგრამ რეაბილიტაციას საჭიროებს სოფლების შიდა გზები, რომლებიც დაზიანებულია. შესაბამისად, სოფლად უფრო რთულია უფლებადამცველისთვის საქმიანობა, ხშირად

ტრანსპორტის პრობლემაცაა, რის გამოც საღამოს ბევრი ადგილობრივი მაცხოვრებელი ვერ ესწრება ღონისძიებას, თუ ის მისი საცხოვრებელი ადგილიდან შორსაა.

კონფლიქტის რეგიონში უფლებადაცვითი საქმიანობის განხორციელების პრობლემები

კონფლიქტისპირა სოფლებში მომუშავე უფლებადამცველები თავიანთ საქმიანობაში რამდენიმე სპეციფიურ პრობლემას აწყდებიან:

საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებში შესვლა პრობლემურია, რაც უფლებადამცველებს კონფლიქტისპირა სოფლებში აქტივისტური საქმიანობის განახორციელებაში ხელს უშლის. მაგალითად, თუ სოფლებში უნდა შეხვიდე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, მანამდე შესვლა უნდა შეათანხმო შესაბამის უწყებებთან. სხვა შემთხვევაში, შეიძლება საათების განმავლობაში მოუწიოს ადამიანს ლოდინი და შსს-მ და სუს-მა მაინც არ შეუშვას. მაგრამ, თუ კონფლიქტისპირა სოფლებში შედიხარ როგორც ფიზიკური პირი, უბრალოდ, ნათესავის მოსანახულებლად, მაღალი ალბათობით, იქ თავისუფლად შეხვალთ.

სოფლებში შეშვების პროცედურაში ყველაზე პრობლემური არის ის, რომ არ არსებობს არანაირი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც კონფლიქტის ზონაში არსებულ სოფლებში შესვლას და გადაადგილებას მოაწესრიგებდა. სოფლებში დაშვების და გადაადგილების ნებართვის გაცემა ,,დეფაქტო" წესით ხდება, რაც კითხვებს ბადებს პროცედურის განჭვრეტადობასთან დაკავშირებით.

სუს-ი დეტალურად აღნუსხავს ინფორმაციას, თუ რომელ სოფლებში შედიან უფლებადამცველები, რა მანქანით მიდიან, რა არის მანქანის ნომერი, ვინ არის მძღოლი და ვის ხვდებიან უფლებადამცველები სოფლებში. განსაკუთრებით პრობლემურია ის, რომ სუს-ი უფლებადამცველებისგან ითხოვს მათ მიერ დაგეგმილი საქმიანობის შინაარსის წარდგენას. თუ უფლებადამცველებს ფოტო და ვიდეოგადაღება აქვთ დაგეგმილი, დეტალური ინფორმაცია უნდა მიაწოდონ სუს-ს, რის გადაღებას აპირებენ და რა მიზნით. სუს-ისთვის ინფორმაციის მიწოდების გარეშე, უფლებადამცველებს არ აქვთ სოფლებში გადაღების უფლება. უფლებადამცველებს ხშირ შემთხვევაში პოლიციელები დაჰყვებიან და შეუთანხმებელი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას არ აძლევენ.

უფლებადამცველები პრობლემად მიიჩნევენ იმასაც, რომ აქტივისტური საქმიანობის განხორციელებისას მათ პოლიციელები დაჰყვებიან, ვითომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. უფლებადამცველების განმარტებით, როდესაც მოსახლეობასთან შესახვედრად ოჯახებში მიდიან, სახელმწიფო სტრუქტურების ერთი წარმომადგენელი მაინც დაჰყვებათ და მოსახლეობასთან მათ საუბარს ისმენს. ამის გამო, ადამიანები ისე გახსნილად ვეღარ საუბრობენ უფლებადამცველებთან - მათ უჭირთ თავიანთ პრობლემებზე გულწრფელი და ღია საუბარი.

ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ მაღალმთიან რეგიონებში მომუშავე უფლებადამცველებისთვის ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა პრობლემაა. არის

სოფლები, სადაც ინტერნეტი არ არის, ან ინტერნეტის ხარისხი ამინდზეა დამოკიდებული და შესაბამისად, მასზე წვდომა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ინტერნეტის არარსებობა უფლებადამცველებს უზღუდავთ საველე სამუშაოების შესრულების, შეხვედრების შესახებ ინფორმაციის გაზიარებისა და სოციალურ ქსელებში აქტივისტური საქმიანობის ხილვადობის შესაძლებლობას. ასევე, უფლებადამცველებს ურთულდებათ მედიასთან პირდაპირ ეთერში ჩართვა. ინტერნეტის ხარისხი ხშირად უარესდება უამინდობის გამო.

უფლებადამცველთა ნაწილმა განაცხადა, რომ უკეთესი ხარისხის ინტერნეტის მისაღებად იძულებულნი არიან შეიძინონ კერძო კომპანიების მიერ შეთავაზებული ინტერნეტის ულიმიტო პაკეტი, რაც მეტ ფინანსურ ხარჯთანაა დაკავშირებული. უფლებადამცველებს პროექტით დაგეგმილი აქტივობების შესასრულებლად საჭირო ინტერნეტის ხარჯი გაწერილი აქვთ პროექტის ბიუჯეტში, თუმცა, მსგავსი პროექტები ხანმოკლე, ხშირად ერთჯერადი და მცირებიუჯეტიანია. უფლებადამცველები არცთუ იშვიათად პირად ფინანსებს იყენებენ ინტერნეტის შესაძენად. ამას გარდა, ბევრი უფლებადამცველი მოხალისეობრივად ახორციელების აქტივისტურ საქმიანობას. მეტიც, მაღალმთიანი რეგიონის ზოგიერთ სოფელს მობილური ოპერატორები სრულად ვერ ფარავენ. გარდა ამისა, ზოგიერთ მაღალმთიან რეგიონში (მაგ. სვანეთში) სოფლებს ელექტროენერგია მიეწოდებათ გრაფიკით და შესაბამისად, იქმნება ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემაც, რაც უფლებადამცველებს თავიანთ საქმიანობაში ხელს უშლის.

შეჯამება და რეკომენდაციები

თბილისს გარეთ, საქართველოს რეგიონებში მომუშავე უფლებადამცველებს არ აქვთ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საქმიანობის ხელშემწყობი უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო. ისინი ხშირად დგანან სპეციფიური რისკების წინაშე და თავიანთი საქმიანობის პროცესში ხდებიან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლნი. უფლებადამცველები საჭიროებენ სპეციფიურ დაცვას, ფინანსურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას, როგორც სახელმწიფოს, ისე დონორი ორგანიზაციების მხრიდან.

უმცირესობების თემატიკაზე მომუშავე უფლებადამცველები მათი სამუშაოს სპეციფიკის გამო, განსაკუთრებული რისკების წინაშე დგანან და გარიყვის მსხვერპლნი არიან. უფლებადამცველები ხშირად არიან ხელისუფლებისა და მათ მიერ მხარდაჭერილი რადიკალური ჯგუფების მიერ მადისკრედიტირებელი კამპანიების მსხვეპლნი. ისინი ხშირად არიან მოხსენიებულნი ნეგატიურ კონტექსტში, რაც მათი სამუშაოს სტიგმატიზაციას იწვევს.

<u>მონაწილეობა</u>

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა (საკრებულომ, მერიამ, გამგეობამ):

- ხელი შეუწყონ კოლაბორაციული დიალოგის ჩამოყალიბებას უფლებადამცველებთან საერთო ინტერესებზე კონცენტრირების მიზნით;

- გაატარონ შესაბამისი ზომები, ადგილობრივ დონეზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფლებადამცველების ეფექტიანი მონაწილეობისთვის;

- თანამშრომლებს ჩაუტარონ შესაბამისი სწავლებები უფლებადამცველების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ;

- შეიმუშაონ გენდერულ და მრჩეველთა საბჭოებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების/უფლებადამცველების ჩართულობის გამჭვირვალე და ინკლუზიური წესი, რითაც უფლებადამცველებს ექნებათ ჩართულობის თანასწორი შესაძლებლობა.

- უზრუნველყოფონ უფლებადამცველების ჩართულობა საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში.

<u>უფლებადამცველთა გაშუქება მედიაში</u>

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა:

- გადახედოს სარედაქციო პოლიტიკას და გაატაროს შესაბამისი ზომები უფლებადამცველების საქმიანობის ხილვადობის გაზრდის მიზნით;

- გაატაროს ზომები, რათა უფლებადამცველებს ხელი შეუწყოს საჯარო დებატებში მონაწილეობაში.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და კერძო /ეროვნულმა მაუწყებლებმა:

- გაატარონ ზომები, რათა ხელი არ შეუწყონ საზოგადოებაში გენდერული სტერეოტიპების გამყარებას;

- გაატარონ ზომები მედიაში სიძულვილის ენისა და ქსენოფობიური დამოკიდებულების აღსაკვეთად;

<u>საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა</u>

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა (საკრებულო, მერია, გამგეობა):

- შეასრულონ პოზიტიური ვალდებულება, რათა თანასწორ საფუძველზე უზრუნველყონ უფლებადამცველები დროული და ხარისხიანი საჯარო ინფორმაციით.

<u>უფლებადამცველთა ფიზიკური უსაფრთხოება</u>

საქართველოს მთავრობამ, შსს-მ და პროკურატურამ:

- გაატარონ შესაბამისი ზომები უფლებადამცველების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ფსიქოლოგიური ზეწოლისგან დაცვის მიზნით;

- შესაბამისმა საგამოძიებო ორგანოებმა, დროულად და ხარისხიანად გამოიძიონ უფლებადამცველების მიმართ განხორციელებული ზეწოლისა და შეურაცხყოფის ფაქტები, გამოავლინონ დამნაშავეები და სათანადოდ დასაჯონ ისინი;

- შესაბამისმა საგამოძიებო ორგანოებმა სათანადო სენსიტიურობით გამოიძიონ უფლებადამცველების მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და დროულად გამოკვეთონ სიძულვილის მოტივი.

პროფილურმა ექსპერტულმა ორგანიზაციებმა:

- შესთავაზონ უფლებადამცველებს სტრესის მართვისა და გადაწვის ტრეინინგებში მონაწილეობა;

უფლებადამცველთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა

დეზინფორმაცია და პროპაგანდა

საქართველოს მთავრობამ:

- შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულება და ებრძოლოს დეზინფორმაციას კომპლექსური და ეფექტიანი ზომების გამოყენებით.

პროფილურმა ექსპერტულმა ორგანიზაციებმა:

- ჩაუტარონ ტრეინინგები რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციებს/უფლებადამცველებს დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან გამკლავების მიმართულებით.

სხვა საკითხები

საქართველოს მთავრობამ:

შეასრულოს პოზიტიური ვალდებულება ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის კონსტიტუციური უფლების ეფექტიანი რეალიზაციისთვის;

საერთაშორისო თუ ადგილობრივმა დონორმა ორგანიზაციებმა:

- ხელი შეუწყონ უფელბადამცველებისთვის ორგანიზაციული (core support) მხარდაჭერის შესაძლებლობების გაზრდას, მათ შორის გაითვალისწინონ მცირე ინიციატივების ჩართულობა და მხარდაჭერა.

სამოქალაქო სექტორმა და უფლებადამცველებმა

- ხელი შეუწყონ გამოცდილებებისა და კარგი პრაქტიკის გაზიარების, კომუნიკაციისა და პლატფორმების ჩამოყალიბებას, რომელიც განსაკუთრებით მიმართული იქნება დედაქალაქს გარეთ მომუშავე უფლებადამცველების ჩართულობასა და თანასწორ მონაწილეობაზე. გადახედონ თავიანთ პოლიტიკას და ხელი შეუწყონ მცირე "გრასრუთ" ორგანიზაციებს ორგანიზაციული მდგრადობის ჩამოყალიბებაში.

ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა

პუბლიკაციები

6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით https://idfi.ge/ge/case_law_of_the_european_court_of_human_rights_regarding_public_information

7. უფლებადამცველთა მდგომარეობა: დაბრკოლებები და გამოწვევები https://shorturl.at/gjMZ7

8. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, 1995-1996.
9. OHCHR, საინფორმაციო ბიულეტენი №29 უფლებადამცველების თაობაზე, აპრილი 2004;
10. OSCE/ODIHR, სახელმძღვანელო პრინციპები უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 2014;
11. სახელმძღვანელო მითითებები უფლებადამცველთა უფლებების დაცვის შესახებ, OSCE/ODIHR 2014;

12. Verba, S., Kay Lehman Schlozman, K.L and Brady, H., Voice and Equality, Civic Voluntarism in American Politics, Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, 1995

13. Information on human rights defenders: UN Special Rapporteur on human rights defenders, https://www.ohchr.org/en/special-procedures/sr-human-rights-defenders/about-human-rights-defenders; Commissioner for Human Rights, Council of Europe, https://www.coe.int/en/web/commissioner/human-rights-defenders; OSCE, https://www.osce.org/odihr/human-rights-defenders .

14. Protecting Defenders in 2021: How to Improve Infrastructure to Help Human Rights Defenders at Risk: https://humanrightshouse.org/wp-content/uploads/2021/09/2021-Protecting-Defenders.pdf

საერთაშორისო აქტები

1. 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
2. .,,უფლებადამცველთა შესახებ“ გაერო-ს 1998 წლის დეკლარაცია, https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Issues/Defenders/Declaration/declaration.pdf

3. .Protecting human rights defenders: resolution / adopted by the Human Rights Council, 2013, https://www.refworld.org/docid/53bfa8564.html

შიდასამართლებრივი აქტები

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
2. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი